ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 640

2 დეკემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 2^1 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის, 42-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის' მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 25 ნოემბრის დადგენილების (N3-Iმს - XIმპ) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - ზაზა თავაძეს ვადამდე შეუწყდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 26 ნოემბრიდან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე